ნანას წარმატება

ბორჯომი, 28 ივლისი (**ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.**). დღეს აქ დამთავრდა საქართველოს მოჭადრაკე ქალთა წლევანდელი ჩემპიონატი. დასკვნით, XV ტურში ყურადღების ცენტრში იყო ლიდერების — ალექსანდრიასა და ჩაიკოვსკაიას პარტიები. ჩაიკოვსკაიამ იოლად მოუგო სვანაძეს, ხოლო კუპრაშვილ — ალექსანდრიას შეხვედრაში მძაფრი ბრძოლა გაჩაღდა. ალექსანდრიამ შეძლო პაიკის მოგება, მაგრამ პარტია დაუმთავრებელი დარჩა. საღამოს, ზუსტი თამაშით, **ალექსანდრიამ** იგი გამარჯვებით დააგვირგვინა, რითაც **საქართველოს ჩემპიონის სახელი** მოიპოვა.

ჩიქობავამ 13 სვლაში დაამარცხა მანველოვა, ხუგაშვილმა მოუგო შავთვალიშვილს, ბურდულმა — დალაქიშვილს, კოროშინაძემ — ბაძალუას. ყაიმით დამთავრდა კახაბრიშვილ — ჩომახიძის შეხვედრა.

აი, ტურნირის საბოლოო შედეგები: I. ნ. ალექსანდრია (13,5), II. ა. ჩაიკოვსკაია (13), III. ც. კახაბრიშვილი (9), IV. ნ. ჩიქობავა (8), V. ვ. კუპრაშვილი (7,5), VI-VII-VIII. მ. ბურდული, ნ. მანველოვა, მ. ჩომახიძე (7-7), IX. ლ. კოროშინაძე (6,5), X. თ. ხუგაშვილი (6), XI. მ. ნამორაძე (5), XII. ა. ბაძალუა (4,5), XIII-XIV. ლ. შავთვალიშვილი, მ. დალაქიშვილი (4-4), XV. ლ. სვანაძე (3).

29 ივლისს ჩემპიონატის საზეიმო დახურვაა.

ა. ივანოშვილი.

* * *

სურათზე: საქართველოს ჩემპიონი ნანა ალექსანდრია.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის 21-ე წელი

№ 148 (2868) ● ხუთშაბათი, 29 ივლისი, 1965 წ. ● ფასი 3 კაპ.

მერვე პროფკავშირული...

მოსკოვი, 28 ივლისი (**ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.**). პროფკავშირთა VIII საკავშირო სპარტაკიადაზე დამთავრდა შეჯიბრებები აკადემიურ ნიჩბოსნობაში. მოკავშირე რესპუბლიკებისა და მოსკოვისა და ლენინგრადის 500-ზე მეტი ნიჩბოსანი ეჯიბრებოდა ერთმანეთს კალინინის მახლობლად, ზემო ვოლგაზე. სამი დღის ასპარეზობის შემდეგ როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის გაიმარჯვეს მოსკოველებმა.

ვაჟთა რბოლებში საინტერესო იყო ასპარეზობა რვიანებით, სადაც გაიმარჯვეს ახალგაზრდა ლენინგრადელებმა. მხოლოდ 2 წამი წააგეს მათთან ლიტველებმა. ასპარეზობამ გვიჩვენა ახალგაზრდობის ოსტატობის მნიშვნელოვანი ზრდა. სასიხარულოა, რომ შეჯიბრებაში კარგად გამოვიდნენ ისეთი რესპუბლიკების სპორტსმენები, რომლებშიც აკადემიური ნიჩბოსნობა ადრე არ იყო კულტივირებული. ასეთებია საქართველო (XI ადგილი), ტაჯიკეთი, აზერბაიჯანი და სხვ.

წარმატებით დაიწყეს ტურნირი საქართველოს სპორტსმენებმა კლასიკურ ჭიდაობაში. უმჩატეს წონაში დავითაიამ დაამარცხა ლენინგრადელი ხატანევი. მჩატე წონაში მელაშვილმა მოუგო მოლდაველ ამიროვს. ქვემსუბუქ წონაში რურუასა და უკრაინელ კაციუბას შეხვედრა ფრედ დამთავრდა. მსუბუქ წონაში გვანცელაძემ სძლია მოლდაველ მატვეევს.

ჩვენმა ჩოგბურთელებმა ნახევარფინალში დაამარცხეს ესტონელები — 5:1. ერმოლოვამ მოუგო სოომეს, ივანოვამ — კიარმასს, კაკულიამ — ნეპს, რუხაძემ — ვეტემაას, პერეცუდოვმა — სიიტამს. ვერულავა დამარცხდა ჰიოპთან შეხვედრაში. ჩვენები გავიდნენ ფინალში, სადაც შეხვდებიან მოსკოვის ნაკრებს (დედაქალაქის ჩოგბურთელებმა ნახევარფინალში სძლიეს რსფსრ-ს — 5:1).

ახალგაზრდობა თამამად უტევს კალათბურთის მოედნებზე. მღელვარე წუთები განაცდევინა უკრაინის ძლიერ გუნდს მოლდაველთა ახალგაზრდა გუნდმა. იოლ მოგებას იმედოვნებდნენ უკრაინელთა მწვრთნელები: მოედანზე არ გამოიყვანეს საუკეთესო მოთამაშეები და... შეცდნენ. შეწყობილად მოთამაშე მოლდაველები დაწინაურებულნი წავიდნენ შესვენებაზე — 33:27.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც თამაშში ჩაებნენ ნ. ბაგლეი, ვ. ოკიპნიაკი და ა. პოლივოდა, უკრაინელებმა მიაღწიეს გამარჯვებას — 67:57.

საქართველოს ქალთა გუნდმა პირველი ნახევარი ყირგიზეთის კოლექტივს მოუგო ანგარიშით 26:18. მეორე ტაიმში ინიციატივა ხელთ იგდეს ყირგიზელებმა, რომლებმაც საბოლოოდ გაიმარჯვეს — 48:45. ამ დამარცხების მიუხედავად, ჩვენს გუნდს განაღდებული აქვს ფინალში მონაწილეობა. მორიგი დამარცხება განიცადეს საქართველოს კალათბურთელმა ვაჟებმა. ამჯერად მათ ყაზახეთის გუნდთან დაყარეს ფარხმალი — 51:55 (17:27).

სურათზე: საქართველოს გუნდი — პროფკავშირთა სპარტაკიადის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში. დგანან, მარცხნიდან — ვ. ბალავაძე, გ. როსტიაშვილი (მწვრთნელები), ლ. კინწურაშვილი, გ. გოზგჯიშვილი, ა. ცხოვრებოვი, თ. ასლამაზიშვილი, ჯ. დავლიანიძე (გუნდის უფროსი); მეორე რიგში — გ. უვარელაშვილი, ზ. შეყრილაძე, ზ. ბერიაშვილი, ა. შეყრილაძე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.
(ჩვენი სპეც. კორ.).

სსრ კავშირის პირველობა

გუშინ...
26 ქულით

მოსკოვი, 28 ივლისი (**ტელეფონით**). დღეს აქ ერთმანეთს შეხვდნენ გათამაშების ლიდერი — მოსკოვის „ტორპედო" და დონის როსტოვის არმიელთა გუნდი.

„ტორპედომ" სატურნირო ცხრილში კიდევ 2 ქულა ჩაიწერა — დაამარცხა მეტოქე ანგარიშით 2:0. ბურთები გაიტანეს **ვორონინმა** და **ბრედნევმა**. როსტოველთა მეკარე ივანოვმა შესანიშნავად მოიგერია სტრელცოვის მიერ 11-მეტრიანი საჯარიმოდან ძლიერად დარტყმული ბურთი.

ამრიგად, მოსკოვის „ტორპედომ" დაამთავრა ჩემპიონატის I წრე. იგი 26 ქულით დამაჯერებლად ლიდერობს გათამაშებას.

„ა" ლიგა

შეთანხმებულად, ინიციატივიანად...

II ჯგუფი, I ქვეჯგუფი

◆

თბილისის „ლოკომოტივმა" შინ მორიგი კალენდარული მატჩი ჩაატარა ზაპოროჟიეს „მეტალურგთან".

ეს ორი გუნდი უშუალო მეზობლობაში იმყოფება გათამაშების ცხრილში. კერძოდ, თბილისელები ბოლო ადგილზე არიან, ხოლო „მეტალურგი" — ბოლოსწინაზე. და მიუხედავად ამისა, აუტსაიდერთა მატჩი მეტად საინტერესო ბრძოლით აღინიშნა.

თამაში დაიწყო იმით, რომ სტუმრები პირველივე წუთზე გავიდნენ „ლოკომოტივის" საჯარიმო მოედანზე, გაითამაშეს სწრაფი კომბინაცია (სმისლოვი — ნესტეროვი) და ამ უკანასკნელმა გახსნა ანგარიში — 1:0.

როგორც ხედავთ, დებიუტი ერთობ არასახარბიელო იყო თბილისელთათვის, მაგრამ გუნდმა მოძებნა ძალები აქტიური შეტევით წარემართა თამაში და მე-19 წუთზე ჩუბინიძემ აღადგინა წონასწორობა — 1:1.

უკვე ორიოდე წუთის შემდეგ სტუმრებმა კვლავ ცენტრიდან დაიწყეს თამაში: მათიაშვილმა რთული მდგომარეობიდან ეფექტური დარტყმით წინ გაიყვანა თავისი გუნდი — 2:1.

მართალია, ზაპოროჟიელებმა რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს თბილისელთა კართან და მეკარე რუხაძეს ძნელი ბურთების აღება მოუხდა, მაგრამ საერთო ინიციატივა მტკიცედ ეჭირათ ხელთ ლოკომოტიველებს. მეორე ტაიმში გუნდი მოქმედებდა შეთანხმებულად, გაშლილად, ინიციატივიანად, რაც დამთავრდა ახალკაცის მიერ გატანილი 2 საუკეთესო გოლით.

თბილისელებმა ჩაიწერეს დამსახურებული გამარჯვება — 4:1.

გუნდი თამაშობდა ასეთი შემადგენლობით: რუხაძე, იაშვილი, ჩუბინიძე, ონიანი, კიზირია, ისიანი (ძაგანია), მუმლაძე, შაფათავა, მაზიაშვილი, ახალკაცი, კოშკელოვი.

ზ. ცინცაძე.

ფეხბურთი
1965



◆ **ბლედი**, 28 ივლისი. ტალ — ლარსენის IV გადადებული პარტია 77-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა. ამრიგად, ანგარიში გახდა 2:2.

◆ **გროსეტო** (იტალია), 28 ივლისი. მძლეოსანთა აქ გამართული შეჯიბრებისადმი ინტერესი მკვეთრად გაზარდა მასში ორი ბრწყინვალე „ვარსკვლავის" — თამარ პრესისა (სსრ კავშირი) და იოლანდა ბალაშის (რუმინეთი) მონაწილეობამ. ორივემ საუცხოო შედეგს მიაღწია: პრესმა ბადრო ტყორცნა 57,50 მეტრზე, ხოლო ბალაში გადაევლო 180 სანტიმეტრის სიმაღლეზე გადებულ თამასას. მოგვყავს ზოგიერთი სხვა შედეგიც: 100 და 200 მ — ენრიკე ფიგეროლა (კუბა) — 10,6 და 21,4; 100 მ — მიგუელინა კობიანი (კუბა) — 11,8. ამ სახეობაში საბჭოთა სპრინტერი რენატა ლაცე III იყო — 12,1. შუბი — იანუშ სიდლო (პოლონეთი) — 75,57 მ. იტალიელმა ანტონიო ამბუმ 5000 მეტრზე რბენაში დაამყარა თავისი ქვეყნის რეკორდი — 13.50,8.

◆ **რომი**, 28 ივლისი. იტალიელმა მოცურავე ქალმა დ. ბენეკმა დაამყარა ევროპის ახალი რეკორდი 200 მ თავისუფალი სტილით — 2.18,0. ჰოლანდიელი ა. ლასტერის ძველი მიღწევა გაუმჯობესდა 0,2 წამით.

◆ **სარაევო**, 28 ივლისი. იუგოსლავიის საერთაშორისო მრავალდღიანი ველორბოლის მონაწილეებმა გაიარეს VII ეტაპი ზენიცა — სარაევო — ტრებევიცი (99 კმ). ფინიშთან პირველი მიიჭრა იტალიელი კარპენტარი — 2:35.30. II ადგილზე იყო ლენინგრადელი პეტროვი — 2:38.20. IV ადგილი დაიკავა ლუშანბელმა შეპელმა — 2:39.28. 7 ეტაპის შემდეგ საბჭოთა გუნდი II ადგილზეა — 68:19.21. იგი 3 წუთსა და 32 წამს აგებს იუგოსლავიის ნაკრებთან. პირად ჩათვლაში ლიდერობს იუგოსლაველი ბოლთეზარი. შეპელი III ადგილზეა.

აი, ვინ გვასახელა

მოსწავლეთა დიდი სპორტული ფორუმი დამთავრდა. გადაიგრიალა ჩვენი, ნორჩი სპორტული ცვლის საკავშირო ბრძოლების ექომ, დაიწმინდა ატმოსფერო და წინა პლანზე წარმოდგა „მცირე სპარტაკიადის“ ყველა მიღწევა და ხარვეზი, წარმატება და მარცხი, სასიხარულო თუ დამაფიქრებელი შედეგი.

ტექნიკური შედეგები — ნორჩების ამ დიდი ასპარეზობის სარკე — ჩვენს თვალწინაა. ეს შედეგები ბევრ საგულისხმოს სთავაზობს, კერძოდ, ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს, სთავაზობს როგორც მწარე დასკვნების გასაკეთებლად, ისე სამაყო ფაქტების დასადგენადაც. ამჯერად მომავლისთვის მოვიტოვოთ „მწარე ლაპარაკი“ და ვისაუბროთ იმათზე, ვინც გვასახელა ამ დიდმნიშვნელოვან ასპარეზზე, მინსკში.

მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის კვალზე

თავდაპირველად — ფეხბურთელებზე. ჩვენი რესპუბლიკისთვის ჯერჯერობით საერთო ცუდი „საფეხბურთო ამინდის“ ფონზე განსაკუთრებით ძვირფასია „მზის თვალის“ ის გამობრწყინება, რომლის შემოქმედნიც მწვანე მინდვრის ნორჩი ქართველი რაინდები არიან. ჩვენმა მოსწავლე ფეხბურთელებმა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონთა მაღალი წოდება დაისაკუთრეს! ეს ამბავი მით უფრო სასიხარულოა, რომ იგი ძველი, სასახელო ტრადიციების აღორძინების იმედს იძლევა. უკვე 7 წელი იყო, რაც ჩვენი მოსწავლე ფეხბურთელები გამარჯვებულთა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე არ ასულან. მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადების საკმაოდ გრძელ გზაზე ტყავის ბურთის ქართველი მიმდევრები თითქმის ზედიზედ სამჯერ (1950, 1951, 1953 წლებში) ფლობდნენ ჩემპიონთა ტიტულს, შემდეგ კი — მხოლოდ ერთხელ — 1958 წელს.

და აი, ჩვენი საუკეთესო წარმომადგენლების წლევანდელმა ცვლამ კვლავ მიაღწია სანუკვარ მიზანს! ამ მრავლისამთქმელი გამარჯვების კონკრეტული შემოქმედნი კი ეს სასახელო ბიჭები არიან: ილარიონ **ლობჟანიძე**, როინ **შარაშენიძე**, თემურ **დუდაშვილი**, ვაჟა **ნემსაძე**, თენგიზ **წურწუმია**, ვაჟა **ჩიტაური**, შოთა **პეიშვილი**, ავთანდილ **კუპრეიშვილი**, გიორგი **ბეროშვილი**, თემურ **მიქაშავიძე**, ჯონი **აბაიშვილი**, ლევან **ნოდია**, თენგიზ **ლოლობერიძე**, გიორგი **ქელეხიძე**, ვალერ **კობახიძე**, ნოდარ **მიქაძე** (გუნდის მწვრთნელები — **ს. სიხარულიძე, თ. კუზლაშვილი**). ყოველმა მათგანმა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ოქროს მედალი მოიხვეჭა. ეს მედლები კი მათ მიერ მოპოვებულმა ექვსმა გამარჯვებამ და ერთადერთმა ფრემ „გამოსჭედა“: უკრაინასთან — 2:0, მოლდავეთთან — 3:1, ლიტვასთან — 1:0, სომხეთთან — 3:0, უზბეკეთთან — 2:0, ლენინგრადთან — 1:0, ბელორუსიასთან — 1:1 (ბურთების სხვაობა — 13:2!).

„ოქროს ბიჭები“ გახდნენ აგრეთვე ჩოგბურთელი თეიმურაზ **კაკულია** და ნიჩბოსნები **კ. გაფრინდაშვილი** და **ა. არუთინოვი**. თ. კაკულიამ დაუმარცხებლად განვლო ჭაბუკ ჩოგბურთელთა პირადი ტურნირი, ყველა მეტოქესთან შეხვედრაში ცხადყო თავისი აშკარა უპირატესობა და ღირსეულადაც დაისაკუთრა მოსწავლეთა პირველი ჩოგნის სახელი. კ. გაფრინდაშვილმა და ა. არუთინოვმა კი „ოქროს ნიჩბების“ რეპუტაცია ორადგილიანი ბაიდარებით 1000-მეტრიან დისტანციაზე მძიმე, საინტერესო და შინაარსიან ბრძოლაში მოიპოვეს.

ვერცხლის მედალოსნებად დაგვიბრუნდნენ ჭაბუკი კალათბურთელები, ხოლო ბრინჯაოს მედლები ჩვენი რესპუბლიკის მსროლელებმა მოიპოვეს.

პირად ჩათვლაში ვერცხლის მედლები მოიგეს ჩვენმა ჩოგბურთელმა გოგონამ **ლ. მგალობლიშვილმა** და ველოსიპედისტმა **ვ. ფეტისოვმა**. მან ჩინებულად იბრძოლა 25 კილომეტრზე ინდივიდუალურ რბოლაში.

წარმატებათა შორის შეიძლება აღინიშნოს აგრეთვე ჩვენი ველოსიპედისტებისა და აკრობატების IV ადგილები გუნდურ ჩათვლაში, აგრეთვე მძლეოსან გოგონათა V ადგილი. პირად ჩათვლაში მსროლელთა შორის მრგვალ სამიზნესა და სილუეტზე სროლაში V ადგილი დაისაკუთრა მ. ყამურაშვილმა.

სურათზე: მოსწავლეთა სპარტაკიადის ჩემპიონი, ბერდიჩეველი სპორტსმენი ა. მოროზი ძლევს 205 სმ სიმაღლეზე მდებარე თამასას.

ფოტო ი. ზმიტროვიჩისა (საქდესი).

ტელეფონით სტრიქონით

✦ ქუთაისი

სპორტკავშირის სასროლეთზე დამთავრდა მრგვალ სტენდზე სროლაში საქალაქო თასის პირად-გუნდური გათამაშება. საერთო გუნდური გამარჯვება მოიპოვა „სპარტაკის“ ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ: შ. ნაჭყებია, ლ. იაშვილი, რ. გეგეშიძე, ა. ესაძე, გ. მელქაძე. II ადგილზეა „განთიადი“, III — „დინამო“. პირად ტურნირში გაიმარჯვეს რ. გეგეშიძემ, დ. როინიშვილმა და ა. მელქაძემ.

ი. ბუხაიძე.

⊙

✦ ლაგოდეხი

ქართული და რუსული საშუალო სკოლების ფიზკულტურულ მოედნებზე ჩატარდა რაიონის სკოლების გუნდების პირველობა ფრენბურთსა და კალათბურთში. ფრენბურთელ გოგონათა შეჯიბრებაში გაიმარჯვეს ნინიგორის საშუალო სკოლის სპორტსმენებმა. ჭაბუკთა შორისაც ამავე სოფლის წარმომადგენლებს ხვდათ წარმატება. კალათბურთელ გოგონებში იმარჯვეს ლელიანის საშუალოსკოლელებმა, ხოლო ბიჭებში — კვლავ ნინიგორელებმა.

გ. კობაძე.

ჩვენი კალენდარი

თეიმურაზ II — ჭადრაკის მეხოტბე

ჩვენს წინაპრებს არ დაუტოვებიათ საგანგებო შრომა ჭადრაკზე, თუმცა ეს ბრძნული თამაში საქართველოში მაშინაც ითვლებოდა კულტურის საუნჯედ. სამაგიეროდ, ჩვენამდე მოაღწია ქართველი მწერლებისა და პოეტების საჭადრაკო ქებათა-ქებამ. ამ მეხოტბეთა შორის პირველია მეფე-პოეტი თეიმურაზ II (1700—1762 წ.წ.), რომლის დაბადებიდან 265 წლისთავი წლეულს სრულდება.

თეიმურაზ II თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწე და შესანიშნავი პოეტი იყო. შთამომავლობას მან ბევრი საყურადღებო თხზულება დაუტოვა, მაგრამ ჩვენ შევეხებით მხოლოდ იმ წიგნებს, რომლებიც საინტერესო გამონათქვამებს შეიცავენ ჭადრაკზე.

1738 წელს პოეტმა დაასრულა თხზულება ,,დღისა და ღამის გაბაასება“ ანუ ,,სარკე თქმულთა“. ამ ნაწარმოებში დღე და ღამე კამათობენ თავიანთ უპირატესობაზე, ორივე მხარე ცდილობს რაც შეიძლება ამომწურავად წარმოადგინოს საკუთარი სიკეთე. კერძოდ, თავის ერთ-ერთ ღირსებად დღე ჭადრაკის თამაშის შესაძლებლობას მიიჩნევს. იგი ამბობს:

> ჭადრაკსა ითამაშებენ ისე თეთრზედა ძვირადა;
> მას კაი ცოდნა უფუფი უნდა არვის სჭირს ხშირადა;
> რომელსაც უზმენ შამათსა მას მიაჩნია ჭირადა
> აჯობებს, თუმცა ძმა იყოს, უწყინოს გასაკვირათა.

როგორც ამ სტროფიდან ჩანს, თეიმურაზ II კარგი მოჭადრაკე ყოფილა. მას ესმის, თუ რაოდენ ძნელია ჭადრაკის ,,კაი ცოდნა“. თანაც, პოეტი აღნიშნავს, რომ ჭადრაკში ძმა ძმას არ დაინდობს, ვინაიდან წაგება ,,მიაჩნია ჭირადა“.

აღსანიშნავია, რომ თეიმურაზ II, პირველმა ქართულ ლიტერატურაში, აღწერა საჭადრაკო ბრძოლის ავ-კარგი.

პოეტს დიდი დამსახურება მიუძღვის აგრეთვე ქართული საჭადრაკო ტერმინოლოგიის დაცვა-გამომზეურებაში. მას დაწერილი აქვს სამი სატრფიალო ლექსი საერთო სათაურით: ,,ყუმარზე ზმა ლექსად თქმული მეფის თეიმურაზ მეორისაგან: განჯაფისა, ჭადრაკისა და ნარდისა“. პირველი ლექსი ეხება განჯაფას (ძველ თამაშს, რომელმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია), მეორე — ჭადრაკს, მესამე კი — ნარდს.

აი, ლექსი ჭადრაკზე:

> **ნიშად რაპი** რუკი მესმა, კართა ზედა კენჭის ცემით;
> **მეფერების** თავი შენი, შემიბრალე ხმის გაცემით;
> აქ **სულაზი ერიდები**, კაცთა ჰსტირი გარდაცემით;
> **უკუნითი** მოგცე თავი, რომ გამხეთქო თუნდა ცემით;
> **მომხედარის** კაცის თვალმა შემიწყალა, დამრთო ნება;
> **ეტლი** მქონდა მას დღეს კარგი, აღარ მჭირდა ცეცხლთა დება;
> **აპა იკივლებს** აღარა, არ უარობს, არცა წყრება.
> არ **უხილავს** თვალთა ჩემთა მისებრივი ბრწყინვალება.
> **სიხხლის რუ** კარგად დამწყვიტა, აღარ მადინა თვალითა.
> აქ **ქიშპათ** იყო ჩემზედა, იწოდა ჩემის ბრალითა.
> **თამაშა მათი** მინდოდა წაჭიდებით და ძალითა.
> მე **ვაქო ხიამოვნითა**, ვისგანაც ვიწვი ალითა.

როგორც ხედავთ, მთავრული შრიფტით გამოყოფილია ქართული საჭადრაკო ტერმინები. ჩვენ არ შევუდგებით ამ ტერმინების (მათგან დღემდე გაურკვეველია ,,რუხი“ და ,,ქოსი“) ახსნა-განმარტებას. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ პოეტმა ფიგურები თანმიმდევრულად განალაგა.

აკადემიკოს კ. კეკელიძის აზრით, ,,ამ ლექსების ზმობა გამოიხატება იმაში, რომ ორი სიტყვის ნაწილიდან ვღებულობთ ერთ სიტყვას, რომელიც თამაშობის ტერმინს წარმოადგენს. მეორე მხრით ზმობა შეიძლება იმაშიც მდგომარეობდეს, რომ სატრფოდ სიმბოლურად იგულისხმებოდეს განჯაფის, ნარდისა და ჭადრაკის თამაშობა. პოეტის სურვილი სატრფოსთან ახლოს ყოფნისა და სატრფოს უყურადღებობა გულისხმობდეს თამაშობაში მოგებულ დაუკმაყოფილებელ სურვილს, ხოლო ბოლოს პოეტის დამშვიდება სატრფოს მოახლოვებით — მოგებით“.

დიდია თეიმურაზ II ამაგი ქართული ჭადრაკის ისტორიისათვის.

თ. გიორგაძე.

მქსოველთა სპარტაკიადა

საინტერესოდ ჩატარდა კულაშის საქსოვი ფაბრიკის მე-3 სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში შედიოდა 6 სახეობა — ფეხბურთი, ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთი, ფრენბურთი, შაში, ტყვიით სროლა. შეჯიბრებებში მონაწილეობა მიიღო საწარმოს 250 მუშა-მოსამსახურემ.

სპარტაკიადის გახსნას მიეძღვნა ველოგადარბენა მარშრუტით: კულაში — სამტრედია — დიდი ჯიხაიში — ჭაგანი — კულაში. და აი, ველოსიპედისტთა ფინიშის შემდეგ აღიმართა სპარტაკიადის ალამი.

...სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვა აბრეშუმის საქსოვი უბნის კოლექტივმა.

ვ. მაისურაძე.

სამტრედიის რაიონი.

რუხელთა კარგი საქმენი

სოფელ რუხში ფეხბურთსა და ჭადრაკს ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს. სწორედ ამით აიხსნება ის კეთილშობილური საქმე, რაც სოფელში სპორტის ამ სახეობათა პროპაგანდისთვის კეთდება.

ამას წინათ რუხელი კოლმეურნე ახალგაზრდები შეუდგნენ სტადიონის მშენებლობას, ხოლო კომკავშირელთა ინიციატივით სოფელში ჩამოყალიბდა მოჭადრაკეთა წრე.

გ. ალშიბაია.
(ჩვენი კორ.).

ზუგდიდის რაიონი.

ბურთი ავარდა

მაისის პირველ კვირადღეს ჯუმათში წინათ სახალხო დღესასწაულივით ატარებდნენ. დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი სოფლის ცენტრში იკრიბებოდა. მართავდნენ ლხინს, ცეკვა-თამაშს. ცხენოსნები ერთმანეთს ჯგუფ-ჯგუფად ეჯიბრებოდნენ. იმართებოდა ჩეხვა ხმლებით, ისინდი და ცხენბურთი. ყველაზე მეტად მაინც ლელობურთი იტაცებდა ხალხს. ეს თამაში ერთგვარი შეჯიბრება იყო ცოლიანებსა და უცოლოებს შორის.

ლელობურთელები, მძაფრ სპორტულ პაექრობაში მონაწილეობის მიუხედავად, ცდილობდნენ ხელი არ შეეშალათ მომღერლებისა და მოცეკვავეთა ჯგუფებისთვის. ეს უკანასკნელნი კი ისეთ განცალკევებულ ადგილებს ირჩევდნენ, რომ მაყურებლებიც გაერთოთ და ლელობურთის თამაშისთვისაც ეცქირათ.

ხშირად იყო შემთხვევა, რომელიმე დაქანცული ლელობურთელი მორიდებით შემოვიდოდა მოცეკვავეთა წრეში, თავის ნაცნობ-მეგობარ ქალიშვილთან იცეკვებდა და შემდეგ ისევ ლელობურთელებს შეუერთდებოდა, რომ ტოლამხანაგებს არ ჩამორჩენოდა და მათი საყვედური არ დაემსახურებინა. ხდებოდა პირიქითაც: მომღერალი ან მოცეკვავე ახალგაზრდა თავისი მოვალეობის შესრულებისთანავე შეუერთდებოდა ლელობურთელებს, მით უმეტეს, თუ ამჩნევდა, რომ მის მეგობრებს — ცოლიანები იქნებოდნენ ისინი, თუ უცოლოები — ლელოში ცუდად ჰქონდათ საქმე.

მომიტევოს მკითხველმა ჩემს სოფლად ლელობურთის თამაშის მეტისმეტად კონკრეტული აღწერა, მაგრამ, ვფიქრობ, ამ გზით უფრო ცოცხლად და უშუალოდ იგრძნობს იგი ჩვენი ამ ეროვნული სპორტის კოლორიტს და სურნელებას, რაც, სამწუხაროდ, დღითიდღე ფერმკრთალდება — სოფლადაც და ქალაქადაც.

ლელობურთელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ლავრენტი ხუხუნაიშვილი, ბათლომე მითაიშვილი, ბესარიონ ჩხარტიშვილი და პროკოფი მამულაიშვილი. თვითეულ მათგანს თამაშის თავისებური სტილი ჰქონდა. მაგალითად, როცა ლავრენტი ბურთს დაეუფლებოდა, თუნდაც ოცი კაცი ჩაბღაუჭებოდა, წაექცია და მიწაზე გაენართხა, ვერავინ შესძლებდა მისი მძლავრი, გოლიათური ხელებიდან ბურთის გამოგლეჯას.

ბათლომე მითაიშვილი კი ძალზე მარდი მორბენალი იყო. იშვიათად გამოჩნდებოდა ვინმე, რომ სირბილში ეჯობნა.

ბათლომეს ერთ-ერთ უძლიერეს მეტოქედ სირბილში პროკოფი მამულაიშვილი ითვლებოდა.

ბესარიონ ჩხარტიშვილი კი უფრო მოქნილი, ეშმაკი და მოხერხებული ლელობურთელი იყო. იგი ნაკლები ენერგიის დახარჯვით გაცილებით უფრო მეტს აკეთებდა, ვიდრე ზოგიერთი დახელოვნებული ოსტატი.

ლავრენტი და ბათლომე მაშინ ცოლიანები იყვნენ, ხოლო ბესარიონი და პროკოფი — უცოლოები. ოთხივენი კი განუყრელ მეგობრებად ითვლებოდნენ.

...როცა მზე დასავლეთისკენ გადაიხარა და სიცხე ოდნავ შენელდა, ლელობურთის თამაშიც დაიწყო. ბურთი

ბურთი პირველი ასრო
უცოლოებმა ჩაიგდეს ხელში.
დანვე ბესარიონი დაეუფლა
სუფლად მდგომ პროკოფის
ისიც მყისვე გაიჭრა წინ, მაგ
ლომე მითაიშვილმა გადაუქ

ასე თამაშობდნენ

პირველად სოფლის ყველაზე უხუცესმა, ლავრენტის პაპამ — ას ათი წლის ილარიონ ხუხუნაიშვილმა აისროლა ზევით... და მაშინვე ჩაებნენ თამაშში. ჩვენი სოფლის თითქმის ყველა ცოლიანი და უცოლო ღებულობდა მასში მონაწილეობას.

ზედ კისერზე ჩამოეკიდა. იქ
ლავრენტი. მან სწრაფად
ბურთი პროკოფის და თამაშ
ლობა უცოლოების საწინა
შეაბრუნა. დაინახეს თუ არა,
თი გოლიათ ლავრენტის ჩაუ
ლში, რამდენიმე უცოლო ა

ახალი ამბები

● **მოსკოველმა** ინჟინრებმა, მფრინავებმა ს. კოტოვამ და თ. ფომიჩევამ სერიული შვეულმფრენით მი-4 იფრინეს 500-კილომეტრიანი დახშული მარშრუტი 195 კმ საშუალო სიჩქარით საათში. ეს შედეგი საათში 53 კილომეტრით უმჯობესია მსოფლიოს ოფიციალურ რეკორდზე, რომელიც აგრეთვე საბჭოთა სპორტსმენ ტ. რუსიანს ეკუთვნის 1960 წლიდან.

● **ბლედი, 28 ივლისი.** ტალ—ლარსენის ნახევარფინალური მატჩის IV პარტიაში ლარსენმა (შავებით) ალიოხინის დაცვა აირჩია. უკვე დებიუტში დანიელმა დიდოსტატმა იშვიათი გაგრძელება გამოიყენა და თითქმის 1 საათით ჩააფიქრა ტალი. რიგელმა დიდოსტატმა მონახა სწორი სვლა და თამაში გათანაბრდა. მაგრამ მალე ტალი პაიკის შეწირვით შეეცადა ბრძოლის გართულებას. ლარსენი მტკიცედ იგერიებდა მუქარებს და პოზიციას ამარტივებდა. მან შეინარჩუნა ზედმეტი პაიკი და პარტია გადადო ეტლების მოსაგებ ენდშპილში.

● **მოსკოვი, 27 ივლისი.** სსრ კავშირის ცხენოსანთა ჩემპიონატზე გამოვლინდნენ ჩემპიონები რამდენიმე სახეობაში. დაბრკოლებათა გადალახვაში „სამონადირო პარკურზე" გაიმარჯვა მოსკოველმა ი. სკობლილოვმა. ხტომები „გახსნის პრიზზე" მოიგო რსფსრ-ს მხედარმა მ. კიჩაპოვმა. ბრძოლაში ჩაებნენ გახედნის ოსტატებიც. გათამაშდა ორი პრიზი. „მცირე პრიზი" შარშანდელივით მოიგო მოსკოველმა არმიელმა მ. ვლასოვმა, „საშუალო პრიზში" გაიმარჯვა მისმა თანაგუნდელმა ი. კალიტამ, რომელმაც აგრეთვე შარშანდელი წარმატება გაიმეორა. წინაა შეჯიბრება გახედნის ოსტატებს შორის „დიდ პრიზზე". ამავე დროს მიმდინარეობს ასპარეზობა სამჭიდში ახალგაზრდა და უფროსი ასაკის ცხენებზე ამხედრებულთათვის.

● **ფრუნზე, 28 ივლისი.** „ტრუდის" 13 ლენინგრადელმა სპორტსმენმა სპორტის ოსტატ ბ. ჩუნოვკინის ხელმძღვანელობით მოახდინა ასვლა ლენინის პიკზე. მთამსვლელებმა იერიში მიიტანეს გაუკვალავი გზებით, რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში. ლაშქრობათა სეზონი ყირგიზეთში გაჩაღებულია. მამაც სპორტსმენთა თითქმის 100 ჯგუფმა უკვე სცადა ძალები ღრუბლებაზედა ტრასებზე.

● **ტაშკენტი, 28 ივლისი.** პამირიდან მოვიდა ცნობა, რომ კომუნისტური აკადემიის სახელობის პიკი (6439 მ) პირველად აიღეს მთამსვლელებმა უზბეკეთის დამსახურებული მწვრთნელის, სპორტის ოსტატ ვ. ელჩიბეკოვის ხელმძღვანელობით. ასვლა შედის ალპინიზმში სსრ კავშირის ჩემპიონატის პროგრამაში.

„ვენის ტყის ზღაპრები" ჯადოსნურ ფონზე

გიმნასტრადა მეტად მაღალი სპორტული იდეის მატარებელი ასპარეზია. მისი კარიბჭე ღიაა არა მარტო ტანვარჯიშული იარაღების საქვეყნოდ აღიარებული ოსტატებისთვის, არამედ მსოფლიო ტანვარჯიშული მოძრაობის მასებისთვისაც.

ასეთი ასპარეზი იყო გახსნილი 5 დღის მანძილზე ავსტრიის დედაქალაქ ვენაში. აქ ტარდებოდა IV გიმნასტრადა. ათასობით მაყურებლის თვალწინ, რომლებიც ვენის ცენტრალური სტადიონის და მთავარი სპორტული დარბაზის სტუმრები იყვნენ, დაუვიწყარი ტანვარჯიშული სანახაობანი კალეიდოსკოპისებური მრავალფეროვნებით ცვლიდა ერთი-მეორეს. მაყურებლებმა იხილეს მასობრივი კომპოზიციებიც, ეროვნული „ტანვარჯიშული საღამოებიც" და პლანეტის სახელგანთქმულ ოსტატთა გამოსვლებიც.

ჩვენს გაზეთში უკვე ვწერდით ჩეხოსლოვაკიის სპორტულ ცხოვრებაში უდიდესი მოვლენის — III საერთო-სახელმწიფოებრივი ტანვარჯიშული სპარტაკიადის თაობაზე. აი, სწორედ ამ მასობრივი ღონისძიების პროგრამიდან აღებულ ერთ-ერთ საუკეთესო „წარმოდგენად" მოევლინა ავსტრიელ მაყურებლებს მასობრივი კომპოზიცია „პრაღის რაფსოდია", რომელსაც ჩეხოსლოვაკიელი ფიზკულტურელები ასრულებდნენ. მაგრამ ყველაზე უფრო დაუვიწყარი სანახაობა იყო მთელს მსოფლიოში სახელგანთქმული ტანმოვარჯიშეების — ვ. ჩასლავსკას (ჩეხოსლოვაკია), კ. მაკრაის, ა. დუცას (ორივე — უნგრეთი), ლ. ლატინინას, პ. ასტახოვას, ბ. შახლინის, ი. ტიტოვის (ყველანი—სსრ კავშირი), ი. ენდოს (იაპონია), მ. ცერარის (იუგოსლავია) და სხვათა საჩვენებელი გამოსვლები.

ამ სურათებზე აღბეჭდილია IV გიმნასტრადის მონაწილეთა ვარჯიშის მომენტები. მარცხნივ თქვენ ხედავთ იუგოსლაველ მიროსლავ ცერარს. მარჯვნივ, ზედა სურათზე „რუსულ არყის ხედ" მონათლული პოლინა ასტახოვაა, რომლის თავისუფალ ვარჯიშსაც „ვენის ტყის ზღაპრების" მუსიკის ფონზე წარმოუდგენელი წარმატება ხვდა წილად. მომდევნო, ქვედა ორ სურათზე ოლიმპიადათა ახლანდელი და ადრინდელი ჩემპიონები — ვერა ჩასლავსკა და ლარისა ლატინინა არიან აღბეჭდილი დვირზე ვარჯიშის დროს.

სუმო — „ღმერთების ჭიდაობა"

იაპონიამ სსრ კავშირში გამოაგზავნა თავისი სათაყვანებელი სპორტსმენები, ეროვნული სპორტის ერთ-ერთი უძველესი სახეობის — ჭიდაობა სუმოს წარმომადგენლები. როცა იოკოჰამას ნავსადგურში საბჭოთა გემ „ბაიკალის" კაპიტანმა იაპონელები ნახა, შეშფოთებით შენიშნა: გემის მანქანებს დიდი ჯაფა დაადგებათო...

მართლაც, არც ისე იოლია განავითარო ჩვეული სიჩქარე, როცა გემზე ასეთი დიდი ტვირთია.

კაპიტნის ხუმრობა გასაგები იყო: გუნდში 44 ოსტატია და თვითეული იწონის დაახლოებით 120 კილოგრამს. სპორტსმენებს თან ახლავს ბევრი ჟურნალისტი: სპორტის იაპონელი მოყვარულები მოუთმენლად ელიან ცნობებს საბჭოთა კავშირიდან თავიანთი რჩეულების გამოსვლების შესახებ.

ძველი ლეგენდა მოგვითხრობს, რომ ჭიდაობა სუმო ღმერთების გამოგონილია, როცა ძველისძველად გადასაწყვეტი იყო საკითხი — ვის რგებოდა ამომავალი მზის ქვეყნის ერთ-ერთი მდიდარი პრეფექტურა.

მაგრამ ეს უძველესი ჭიდაობა „ატომის საუკუნეშიც" ძალიან პოპულარულია იაპონიაში. სუმისტების შეჯიბრება წელიწადში ექვსჯერ ეწყობა: სამჯერ ტოკიოში და თითოჯერ — ოსაკაში, ნაგოიასა და ფუკუოკაში. დარბაზში, სადაც გოლიათები ასპარეზობენ, მოხვედრა მუდამ ძალზე ძნელია. მსურველი ყოველთვის ბევრია და მხოლოდ ტელევიზია აღებს „სარკმელს" მილიონობით გულშემატკივრებისთვის.

რას წარმოადგენს სუმო? შერკინებაში გამარჯვება დამოკიდებულია არა მარტო ძალასა, მოხერხებასა და სიმაღლეზე, არამედ სპორტსმენის წონაზეც (ამიტომაა, რომ საგანგებო ყურადღება ექცევა სპორტსმენის კვებას). სუმისტები ჭიდაობენ წრეში, რომლის დიამეტრი 4,5 მეტრს უდრის.

მეტოქეთა ამოცანაა წრიდან გააგდონ ერთმანეთი ან სხეულის რაიმე ნაწილით იატაკს შეახონ. ჩვეულებრივ, შერკინებები მეტისმეტად სწრაფად თავდება, — ერთ წუთზე მეტს არც გრძელდება, ზოგჯერ კი სულ რამდენიმე წამსაც კი. მაგრამ სანამ შეტევაზე გადავიდოდნენ, მოჭიდავენი დიდხანს უვლიან და ზომავენ ერთმანეთს, თან დროდადრო წინ მარილს ჰყრიან, რათა ბოროტი სულები გადევნონ, ბოლოს კი მსაჯის ნიშანზე ჭიდაობას იწყებენ.

საქღესი მოგვითხრობს

არსებობს სუმოს 48 ილეთი. არც თუ იშვიათად გამარჯვება მოაქვს მათ შორის ყველაზე მარტივს. როცა ათლეტი დაინახავს, რომ მასზე გაფთრებით გამოქანდა მეტოქე, ოდნავ განზე გადგება და მოწინააღმდეგე ინერციით ან წრეს გასცილდება, ანდა სხეულის რომელიმე ნაწილით მიწას შეეხება.

სუმისტობა იოლი როდია, მაგრამ უფრო ძნელია იოკოძუნა (ჩემპიონი) გახდე. ამისთვის საჭიროა მეტოქე გუნდის თითქმის ყველა წევრთან 15 შეხვედრის მოგება. გარდა ჩემპიონის ტიტულისა, დაკავებული ადგილების მიხედვით სპორტსმენებს ენიჭებათ შესაბამისი სპორტული წოდებები. თუ მომდევნო შეჯიბრებაში სპორტსმენი ცუდად გამოვიდა, იგი დაბალ კატეგორიაში გადაჰყავთ.

ბოლო წლებში ტაიხომ მარცხი არ იცის. იგი იოკოძუნა გახდა 1961 წელს და მას შემდეგ არავისთვის დაუთმია ეს ტიტული.

ერთმა იაპონურმა გაზეთმა შიში გამოთქვა იმის გამო, რომ შესაძლოა საბჭოთა მოჭიდავეებს, რომელთა შორის მრავალი გოლიათია, მოეწონოთ ჭიდაობა სუმო და იაპონელებს წაართვან პირველობა სპორტის ამ ეროვნულ სახეობაში (როგორც ეს ჰქნა ჰოლანდიელმა გეეზინკმა ძიუ-დოში). ძნელია იმსჯელო ამ აზრის საფუძვლიანობაზე. ერთი კი უდავოა: სპორტის საბჭოთა მოყვარულები ინტერესით გაეცნობიან ჭიდაობის ახალ, წარმტაც სახეობას.

სუმისტების დებიუტი შედგება 30 ივლისს, მოსკოვში.

ი. ვდოვინი.

ტოკიო.

ტურისტული ბილიკების შესასწავლად

მასობრივი ტურიზმის პოპულარიზაციის მიზნით საინტერესო სპორტულ ღონისძიებას აწყობს ტურიზმის რესპუბლიკური საბჭო. 30 ივლისს, ბორჯომში, სტარტს აიღებს მობაიდარეთა ექსპედიცია, რომელიც დაჰყვება მდინარე მტკვარს და ევლახში ჩავა. შემდეგ ტურისტები გადაინაცვლებენ თელავში და აქედან, ალაზნის გაყოლებით, მინგეჩაურს ეწვევიან. ექსპედიციაში, რომელსაც სპორტის ოსტატი ი. სულიაშვილი ხელმძღვანელობს, 8 თბილისელი და 2 ქუთაისელი სპორტსმენია.

ექსპედიციის მიზანია საკავშირო საწყლოსნო მარშრუტებისთვის აღწეროს მოცემული მარშრუტი და გზადაგზა დაადგინოს საექსკურსიო ობიექტები. როგორც ხედავთ, სპორტსმენებს საკმაოდ ძნელი და პასუხსაგები ამოცანა აკისრიათ, რადგან ზემოჩამოთვლილ ტრასებზე მთელი რიგი მნიშვნელოვანი საექსკურსიო ობიექტებია განლაგებული (სურამი, ურბნისი, ქვახვრელი, შიომღვიმე, მინგეჩაურის ჰიდროელექტროსადგური და სხვ.).

ექსპედიციის მონაწილენი საკუთარი ძალებით შექმნიან საინტერესო კინოდოკუმენტს.

მოგონება

ჯუმათში...

რაფლ გარს შემოეხვია. გასაგებია, მოხდებოდა: ბურთი შეიკრა, რად- ცოლიანებისა და უცოლოების დი- ჯგუფი ერთი-მეორეს შეებღაუჭა ახლა უფრო ძალისმიერი ჭიდილი მართა, ვიდრე ლელობურთის ჩვე-

ობურთს

ულებრივი, წარმტაცი თამაში.

ყველამ იცოდა, რომ ლავრენტი ურთს ადვილად არავის დაუთმობდა, ცდებოდა რომელიმე თავისიანის გა- ხვას და მისთვის ფარულად ბურ- გადაცემას.

ალამ თავისი გაიტანა: ლავრენტი მიწაზე დაანარცხეს, მაგრამ წაქცევამდე თავისი მაგარი ტილოს ხალათის კალთაში ბურთის შეცურება მოახერხა. ისე ჩაუჭირა მას ხელი, რომ წართმევა, მით უმეტეს, ხალათის გაუჭრელად, ძნელ საქმეს წარმოადგენდა. დანის გამოყენება კი ლელოს თამაშში აკრძალული იყო. წინათ იცოდნენ ხოლმე თამაშის დროს ბურთის გაჭრა, მის მაგიერ დაჩუტული ტყავი მიჰქონდათ ლელოსკენ, მაგრამ ასეთ აზარტს ხშირად ბურთის მფლობელის ხელების დაჭრაც მოჰყვებოდა და ლელოს თავისი ელფერი ეკარგებოდა. ვინაიდან ასეთი გაუმართლებელი აზარტი საბოლოოდ ჩხუბსა და აყალ-მაყალს იწვევდა, თამაშში დანის გამოყენება ერთხელ და სამუდამოდ აიკრძალა...

მოთამაშეთა დიდი რაოდენობა ლავრენტის ზემოდან დააწვა. გაჩაღდა ჩვეულებრივი წეწვა-გლეჯა.

რამდენიმე წუთს იყო ასე ბურთი „შეკრული". მალე ლავრენტიმ მოთამაშეთა ჩრდილიდან ჩამოწოლილ სიბნელეში თავისიანი მაინც შეამჩნია და ბურთიც მას შეაჩეჩა ხელში. ხოლო ამ უკანასკნელმა იგი იქვე მიდარაჯებულ ბათლომეს გადასცა. ბურთი უკვე დიდი ხანია ურუმრად გაიტანეს შეჯგუფებიდან, მაგრამ აქ შეხლა-შემოხლა მაინც გრძელდებოდა. ყველას ეგონა, რომ ის ჯერ ისევ ლავრენტის ეჭირა. შეჯგუფებულნი მხოლოდ მაშინ გამოერკვნენ, როცა მათგან ორმოციოდე ფეხის ნაბიჯზე რბენით გაჭრილ ბათლომეს პროკოფი, ბესარიონი და სხვა უცოლოები დაებღაუჭნენ ყიჟინით. ლავრენტი კი, როგორც კი განთავისუფლდა, მაშინვე ახალ დაჯგუფებას შეუერთდა...

ძალზე რომ არ გავაგრძელოთ, ლელობურთის ეს დაძაბული, საინტერესო თამაში იმ დღეს ფრედ, ერთით-ერთზე დამთავრდა. ცოლიანებიდან ლელო პირველად მაინც ბათლომემ გაიტანა, ხოლო უცოლოებიდან — პროკოფიმ, ბესარიონ ჩხარტიშვილის ეშმაკური დახმარებით: ყველამ შენიშნა, რომ ბურთი ბესარიონმა ჩაიგდო ხელში, მაგრამ მან შეუმჩნევლად და მოხერხებულად გადასცა იგი იქვე მდგომ პროკოფის, თვითონ კი სწრაფად ბოხოხი მოიძრო თავიდან, იღლიაში ამოიჩარა და ხმამაღალი ძახილით—„ვაშა, უცოლოებსო!"—შეუნელებელი სირბილით გაიჭრა წინ. ყველა მას დაედევნა, მათ რიცხვში მარდი ბათლომეც. პროკოფიმ კი დრო იხელთა, და რაკი რბენაში ძირითადი მეტოქე — ბათლომე ჩამოიცილა, შურდულივით გაიჭრა წინ და ცოლიანების საპასუხო ლელოც გაიტანა.

ლელობურთის თამაში უთუოდ კიდევ გაგრძელდებოდა, რომ მალე ბინდი არ ჩამოწოლილიყო. შემდეგ კი კვლავ გაჩაღდა ცეკვა-თამაში, სიმღერა და ეს დღესასწაული გვიან ღამემდე გაგრძელდა.

ს. მექვაბიშვილი.



ო. ფხაკაძეს — სპეციალური პრიზი

როგორც ვიუწყებოდით, ტულის ტრეკზე დამთავრდა სსრ კავშირის საიუბილეო, 30-ე ჩემპიონატი ველოსპორტში. ასპარეზობის ცენტრალური მოვლენა გახლდათ სპრინტერ ვაჟთა ფინალური რბოლა, რომელშიც მონაწილეობდნენ სსრ კავშირის ჩემპიონი ო. ფხაკაძე და ახალგაზრდა ნიჭიერი სპორტსმენი ვ. ლოგუნოვი.

ამ „გენერალური შეტაკების“ წინ ოქროს მედლის საკითხი ყველას გადაწყვეტილად მიაჩნდა — იგი ფხაკაძეს დარჩებაო, ამბობდნენ სპეციალისტები და მაყურებლები. მაგრამ მოხდა ისე, რომ ახალგაზრდა სპორტსმენმა გამოცდილ ოსტატს სწორედ ტაქტიკაში აჯობა და პირველად დაისაკუთრა ჩემპიონის ტიტული. ო. ფხაკაძე „ვერცხლით“ დაკმაყოფილდა.

უაღრესად გონებამახვილური მანევრების გამო ახალმა ჩემპიონმა ოქროს მედალთან ერთად სპეციალური პრიზიც მოიპოვა „საუკეთესო ტაქტიკისათვის“. სპეციალური პრიზი მიიღო ფხაკაძემაც — „უმაღლესი სიჩქარისათვის“.

* * *

სურათზე: ახალგაზრდა ველოსიპედისტი ვ. ბიკოვი (ბელორუსია), რომელმაც 1 ადგილი დაიკავა 4 კილომეტრზე გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში.

ფოტო პ. მასლოვისა (საკდესი).

ფავორიტად აღიარებული

აგვისტოში ბარსელონაში იწყება ჭაბუკ მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობა. სსრ კავშირიდან ტურნირში ითამაშებს ოდესელი ოსტატი, 18 წლის ვლადიმერ ტუკმაკოვი, რომელმაც ამის უფლება შერჩევით ასპარეზობებში მოიპოვა.

ამას წინათ ვ. ტუკმაკოვი იუგოსლავიაში ჩავიდა საბჭოთა მოჭადრაკეების გუნდის შემადგენლობაში მასპინძლებთან ტრადიციულ მატჩში მონაწილეობის მისაღებად. ჭაბუკმა ოთხი პარტია ითამაშა და ოთხივე მოიგო. ამან იუგოსლაველებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ამიტომ ჟურნალისტები (გაზეთი „სპორტი“ და სხვ.) დაინტერესდნენ ნიჭიერი მოჭადრაკით და მას შემდეგი ინტერვიუ გამოართვეს.

● ბარსელონაში თქვენ, ალბათ ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი იქნებით. ვინ მიგაჩნიათ ყველაზე სერიოზულ კონკურენტად?

— სასიამოვნოა, რომ ფავორიტად მიმიჩნევთ. ყველაზე ძლიერი მეტოქეები იქნებიან გერმანელი ჰიბნერი და ისრაელის წარმომადგენელი ბლეიმანი. მათ პირველი ადგილის დიდი შანსები აქვთ.

● თქვენ სულ ახალგაზრდა სპორტის ოსტატი ხართ. როდის და ვინ გასწავლათ ჭადრაკი?

— ჭადრაკის თამაში თვითონ ვისწავლე 10 წლის ასაკში, მამის თამაშის შემყურემ. ეთამაშობდი თავდავიწყებით.

● როდის გახდით ოსტატი?

— უკრაინის პირველობაში 1962 წელს, სადაც IX ადგილი დავიკავე.

● მაშინ რამდენი წლისა იყავით?

— დავიბადე ოდესაში 1946 წელს, მაშასადამე, 16 წლის ვიყავი...

● რა საქმიანობას ეწევით?

— ოდესაში ვეუფლები ტექნოლოგის სპეციალობას.

● ჭადრაკის გარდა სპორტის რომელი სახეობა გიზიდავთ?

— კალათბურთი და ცურვა.

● დიდოსტატებთან თუ გითამაშიათ?

— მხოლოდ ორჯერ და ორივეჯერ ლ. შტეინთან. ორივე პარტია წავაგე.

● ვინ იქნება თქვენი მწვრთნელი ბარსელონაში?

— დიდოსტატი ი. ავერბახი.

ჭადრაკი

PRZEGLĄD SPORTOWY

Sport

SPORTSKE NOVOSTI

Népsport

Советский спорт

მასპინძლები ემზადებიან

ინგლისის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა დ. ფოლოუსმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ მსოფლიოს VIII ჩემპიონატი სამაგალითოდ ჩატარდება.

● რომელ მოედნებზე ჩატარდება მსოფლიო ჩემპიონატის მატჩები?

— ლონდონის, შეფილდის, ბირმინჰემის, ნოტინჰემის, ლივერპულის, მანჩესტერის, სანდერლენდისა და მიდლსბროს სტადიონები მზადაა ჩემპიონატის მონაწილეთა მოსამსახურებისთვის. როგორც ცნობილია, ფინალური მატჩი ლონდონის „უემბლის“ სტადიონზე გაიმართება, მაგრამ ლონდონშივე გვაქვს „უაიტ ჰარტ ლეინის“ კეთილმოწყობილი სტადიონიც.

● რამდენ უცხოელ ტურისტს ელით?

— მათი რიცხვი ჯერჯერობით განსაზღვრული არაა, მაგრამ ტურისტული საზოგადოებები სულ უფრო მეტ განაცხადს გვიღებენ. მარტო ბრაზილიიდან ჩამოდის 10 ათასი გულშემატკივარი. ჩვენი აზრით, სულ უნდა ჩამოვიდეს 150 ათასი ტურისტი, რაც ყველა მსოფლიო ჩემპიონატის რეკორდია. ლონდონის სასტუმროებში გვაქვს 300 ათასი ადგილი. ტურისტები ინგლისში კი ჩამოვლენ, მაგრამ ფინალურ მატჩს მათი დიდი ნაწილი ვერ დაესწრება, ვინაიდან „უემბლის“ სტადიონი სულ 100 ათას მაყურებელს იტევს.

● ვინ მოიპოვებს მსოფლიო ჩემპიონობას?

— ინგლისი არა მარტო პირველადაა მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორი, არამედ პირველად უნდა გახდეს ჟიულ რიმეს თასის მფლობელიც. ასეთი განცხადების საფუძველს გვაძლევს ინგლისის ნაკრების ხანგრძლივი მზადება და მისი ახლანდელი საუცხოო ფორმა.

● ვინ მიგაჩნიათ თქვენს მთავარ მეტოქედ?

— რა თქმა უნდა, ახლანდელი მსოფლიო ჩემპიონი. ბრაზილია იყო და რჩება მეტად მრისხანე მეტოქედ. ფინალური მატჩი სწორედ ბრაზილიელებსა და ინგლისელებს შორისაა მოსალოდნელი. უნდა ვიფიქროთ, რომ აქ გამარჯვებას ინგლისელები იზეიმებენ.

ფეხბურთი

მწვრთნელები ცვერავენ ერთმანეთს

შვეციის ნაკრების მწვრთნელი ნ. ნიმანი ამას წინათ დაესწრო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების მატჩებს. იგი სწავლობს მსოფლიო ჩემპიონატის ქვეჯგუფში თავისი ძირითადი მეტოქის თამაშს. აი, ნიმანის დასკვნა:

— გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ახლანდელი ნაკრები, რომლის ბირთვსაც ბრემენის „ვერდერი“ შეადგენს, ამჟამად ფრიად უფერულ შთაბეჭდილებას ტოვებს. ჩვენ შევძლებთ სტოკჰოლმში მის დამარცხებას და ლონდონის საგზურის მოპოვებას.

თავის მხრივ, გერმანელთა მწვრთნელი ჰ. შონიც დაესწრო შვეციის ნაკრების თამაშებს. მისი აზრი ასეთია:

— შვეციის ახლანდელი ნაკრები არ წარმოადგენს სერიოზულ ძალას. სხვებზე უკეთ გამოიყურებოდნენ ვინგი, მილდი, სიმონსონი და პერსონი. მაგრამ ზედმეტად ოპტიმისტური დასკვნის გაკეთება არაა საჭირო. სექტემბრისთვის, როდესაც ჩვენ კვლავ უნდა შევხვდეთ ერთმანეთს, შვედი ფეხბურთელები უდავოდ ფორმაში შევლენ. ასე რომ, წინ ძნელი ბრძოლაა.

ანრი კოშე თბილისში

1937 წლის აგვისტოს თბილისს ეწვია სახელგანთქმული ფრანგი ჩოგბურთელი ანრი კოშე. ეს იყო უცხოელი ჩოგბურთელის პირველი ვიზიტი საქართველოში.

ანრი კოშე ჯერ კიდევ 5 წლისა ყოფილა, როცა ჩოგბურთის თამაში დაუწყია და რამდენიმე წლის შემდეგ ჭაბუკი სპორტსმენი უკვე ძლიერ მოთამაშედ ითვლებოდა საფრანგეთში.

პირველი დიდი საერთაშორისო ნათლობა მან 1920 წელს მიიღო ერთ-ერთ საკურორტო ქალაქში. ყველასთვის მოულოდნელად ჭაბუკმა კოშემ ისეთი გამარჯვება მოიპოვა, რომ სიტყვა „სენსაცია“ უძლური აღმოჩნდა: იგი ერთდროულად გახდა 5 პრიზის მფლობელი!

1921 წელს კოშე უკვე საფრანგეთის ჩემპიონია და მსოფლიოში აღიარებული სპორტსმენი. საკმარისია ითქვას, რომ იგი პლანეტის უძლიერეს ჩოგბურთელთა ათეულში VI ადგილზე დააყენეს.

ეს წარმატება შემთხვევითი როდი იყო. შრომისმოყვარე ახალგაზრდა მუდამ საუკეთესო ფორმას ინარჩუნებდა და წელიწადის ყოველ დროს მზად ჰქონდა თავისი „მრისხანე“ ჩოგანი.

1921 წელს გამართულ დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაში მან ზედიზედ დაამარცხა სახელგანთქმული სპორტსმენები ლაკოსი, ბოროტრა, ვაშე, რიჩარდი და III საპრიზო ადგილი დაისაკუთრა.

1928 წელი ანრი კოშესთვის ტრიუმფისა და ბედნიერების წელი იყო. მან იოლად მოიპოვა საფრანგეთის ჩემპიონის ტიტული, გაიმარჯვა ამერიკის ღია ჩემპიონატში და პარიზში ჩაიტანა დევისის თასი...“ ასეთი ფენომენალური შედეგებისათვის იმ დროს არავის მიუღწევია.

1933 წლიდან ანრი პროფესიონალი სპორტსმენია.

20 წელზე მეტ ხანს გამოდიოდა ფრანგი ჩოგბურთელი მსოფლიოს კორტებზე. მისი დახვეწილი, ოსტატური და კორექტული თამაში ნამდვილ სიამოვნებას ანიჭებდა ჩოგბურთის თაყვანისმცემელთ.

1937 წელს, როგორც უკვე ვთქვით, კოშე სსრ კავშირსაც ეწვია. ორ თვეზე მეტ ხანს დაჰყო სტუმარმა ჩვენს ქვეყანაში. გამოცდილების გასაზიარებლად მან ტურნე გამართა სხვადასხვა ქალაქში და თბილისსაც ესტუმრა. მასთან ერთად ჩვენს დედაქალაქში ჩამოვიდნენ საბჭოთა ჩოგბურთის ცნობილი ოსტატები ე. კუდრიავცევი, ე. ნეგრებეცკი და სხვ.

ანრი კოშეს გამოსვლამ თბილისის კორტებზე მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქართველ ჩოგბურთელთა დაოსტატებას.

ბ. ჩიკვაიძე.

ძველი ფოტოსურათები მოგვითხრობენ

სურათზე: ანრი კოშე თბილისში ასპარეზობისას.

ინგლისური იუმორი

მეთევზე: მთელი 3 საათია თვალი არ მოგიშორებია ჩემთვის. რატომ თავად არ თევზაობ?

მაყურებელი: მოთმინება არ მყოფნის.

* * *

სასტიკად დამარცხებულ, დაბეგვილ, დათეთქვილ, ცხვირპირდამტვრეულ მოკრივეს მენეჯერი ეუბნება:

— კარგი ამბავია, ჯიმ! როგორც იქნა, განმეორებითი მატჩის უფლება მოვიპოვე შენთვის!

* * *

ექიმი: თქვენ სიცხე გაქვთ.

გრიპიანი მძლეოსანი: რამდენი, ექიმო?

ექიმი: ას ერთი*) ფარენჰაიტით,

მძლეოსანი: მსოფლიო რეკორდი რამდენია?

* * *

მოკრივეთა სკოლაში ცემით დარეტიანებული ახალგაზრდა ეკითხება მწვრთნელს:

— კი მაგრამ, აქ დაუსწრებელი განყოფილება არა გაქვთ?..

* * *

— რატომ არის შენი მანქანა ცალ მხარეს წითელი, მეორე მხარეს ლურჯი?

— ამას თავისი აზრი აქვს. უნდა ნახო, ავარიის შემდეგ მოწმეები რომ წაეკიდებიან ხოლმე ერთმანეთს — არა წითელი იყო, არა ლურჯიო.

* * *

— ექიმო, გულს ნუ გამიხეთქავთ მეცნიერული ტერმინებით. უბრალო, გასაგები ენით მითხარით, რა მჭირს.

— სიმართლე რომ გითხრა, სიზარმაცე გჭირს, ეს არის და ეს.

— თქვენ გიშველათ ღმერთმა! ახლა ეგ მითხარით, რა ეწოდება ამას მეცნიერულად, რომ ჩემს მწვრთნელს ვუთხრა.

თარგმნა **ზ. გემაზაშვილმა.**

---

*) **ფარენჰაიტის თერმომეტრით 101 გრადუსი უდრის ცელსიუსით 39 გრადუსს.**

რედაქტორი მ. ქაქაბაძე.

ИНДЕКС 66448

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 11939